



№ 7

22 თებერვალი, 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

Handwritten circular stamp: ივანე ხუციშვილი

Handwritten signature

სოფელ კვირავთის საზოგადო-ეკონომ-

იური დაწესებულების უზრუნველ-

წოდების მართვა

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

0529



ჭ უ ლ ა ნ ე ბ ი



ჩვენი ეკლესიის უბედობა

მეცხრამეტე საუკუნემ ბინდით შექმნა ძველი ივერიის ეკლესია, რომლის ვარსკვლავი მარად ქართველ ერის სასოგბას უძღოდა წინა! თვით დიდებული და ააღმალღებული განადიდებდა და აღამალღებდა ერს! ხოლო მას შემდგომ, რაც დამოუკიდებლობა დაჰკარგა მისი გაბრწყინებული სახე დაიღვრინა. აღარ ისმის ლიტანიის ხმა... ანგელოსური აღტაცება... აღარავითარი ნუგეში... აღარავითარი იმედი... როცა ყოვლად სამღვდლო პიტირინი გვეწვია, თითქოს გავცოცხლდით, თითქოს რაღაცა განახლების მოლოდინში ვიყავით... 14-ტი იანვარი საისტორიო დღეთ მივიჩნით: სიონის ტაძარში აუარებელ ქართველ ხალხს მოეყარა თავი, ეს პირველი ავანგარდი იყო მართლმორწმუნე ქართველობისა. ამ ანბავმა მიყრუებულ სოფლებამდისაც კი მიადწია, სახლს სახე უბრწყინდებოდა მისი გული იმედებით ივსებოდა მაგრამ იმედთა აყვავილება შემოდგომის დღედ გვეცვლებოდა და ახალ-ახალს დღეს ახალ-ახალი უნუგეშობა მოჰქონდა უფრო მძიმე, უფრო კაეშნიანი.

აი, ამ დღეში ტელეგრაფმა კიდევ გვაცნობა დიდმნიშვნელოვანი ამბავი: საქართველოს ქორეფისკოპოსი პიმენი გადაიყვანეს შუაგულ რუსეთში. ჩვენც შევფიქრავდით გვეგონა, ეხლა მაინც ეღირსებოდა ჩვენს ბერ სვიმეონს — კირიონს სამშობლო კერის ნახვა. მაგრამ არა, იმედი გაცრუვდა! იმავე დღეშიდან გავიგეთ, რომ პიმენის მოადგილედ შიდა რუსეთიდან ვადმოჰყავთ ქორეფისკოპოსი ლეონტი.

ეს ამბავი ფრიად საგულისხმეოა ჩვენი ერისათვის. მართალია, რუს არქიელების დანიშვნა ჩვენში ახალი ამბავი არ არის, არც ის არის არაჩვეულებრივი, რომ ქართველი მღვდელ მთავრები რუსეთში იგზავნებიან, მაგრამ იმ დროს როდესაც ქართველი ერი იმედოვნებს, რომ მის სამართლიან მისწრაფებას, ერთხელაც იქნება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენო, როცა საქართველოსა ეჭვარხოს სათავეში ბრძანდება დიდათ სათნოსიანი, პატრიცემული და ქართველთა სიყვარულის მომპოვებელი არქიეპისკოპოზი პიტირინი, რომელმაც ჩამოვლისთანავე იმედის სხივი აღამპრა და ბეჯითი გარდაწყვეტილებით დაჰპირდა სამწყსოს, საქართველოს ეკლესიას მოგხსნი კაეშნის მანდილს, ფეხზე წამოგავყენებ, კვალად გაბრწყინდება საქართველოს გულის

სიონიო, დიახ, აი, სწორედ ამ დროს, ასეთი მოენა, როგორცაა ბერ-კირიონისა და დავითის რუსეთში დატოვება მეტად თავზარ-დაშცემი და შემადრწუნებელი ამბავია ქართველებისთვის...

ვიციოთ და კარგათაცაა, ვიციოთ რომ არა ქართველი ბნი დურნოვო დიდი გულშემატკივრობით ექცევა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და მის დაქვეითებას დასტირის. რუსული პრესა სწორედ დროულად და სამართლიანად სთვლის ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ამავე დროს ქართულ პრესაში უბრალო ქრონიკული შენიშვნების მეტი არა იწერებაარა ჩვენს ეკლესიის მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ქართველი ერი გულგრილად და უყურადღებოდ ეპყრობოდეს სამშობლო ეკლესიის მდგომარეობას. სრულიადაც არა. ყოველი ქართველი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, დიდი და პატარა, სწავლული თუ უსწავლელი, ყველი, როგორც ერთი ადამიანი, ისწრაფვის სამშობლო ერის სადიდებელ სიონის აღორძინებისაკენ.

დღეს ქართული ეკლესია ემზავება ისეთს არსებას, რომელსაც არც სული და არც გული არ შერჩენია. რაც უნდა პატიოსანი, საყვარელი არ იყვის არა ქართველი მღვდელ-მთავარი, მაინც ვერ შთაბერავს მასიცოცხლებელ ძალას ჩვენს ეკლესიას. იგი ბუნებრივად, ისტორიულად, აღზრდით, შეხედულობით, მიმართულებით ვერ იქნება გამომხატველი საქართველოს ეკლესიის ტრადიციებისა. და იდეალისა! ეკლესია, რომელსაც დიადი წარსული აქვს, არ აღმოიფხვრება მისი დავიწყება ქართველის გულს ძალუძს. მაგრამ აი, ქართულმა ეკლესიამ დაჰკარგა თავისი ისტორიული გზა, დაკინდა... ბუნებრივად ამას მოჰყვა დაქვეითება თვით სამწყსოსი. მოისპო მიდრეკილება ეკლესიის პატივისცემისა. გაჰქრა მონასტრები, გაპარტახდა ეკლესიები, დაიხურა სასულიერო სასწავლებლები. დაკინდა სამღვდლოება, განთქმული კულტურა, სახელოვანი საეკლესიო მწიგნობრობა... ვიდრე ჩვენს ეკლესიას ჰყავდა საკუთარი ხელმძღვანელი საეკლესიო საქმეში საზოგადოდ და სამღვდლოებაში კერძოდ. თავს იჩენდნენ მართლაც წარჩინებულნი და სულმნათი პიროვნებანი. ესენი იყვნენ სპეტაკნი გონებრივადაც და ზნეობრივადაც. ამის დასამტაიცებლად რამდენი მაგალითია, მაგრამ მოვიყვან უფრო თვალსაჩინოს, მაგრამ ფრიად მარტივს: ვიდრე სულმნათი ეპისკოპოზი გაბრიელი იყო იმერთის კათედრა-

ზე და ასე თუ ისე დამოუკიდებულობას იჩენდა თავის მოქმედებაში, სამწყსოსა და ეკლესიის საქმეების წარმოებაში იმერეთის სამღვდლოება სხვა დონეზე იდგა. თითქმის მთელ იმერეთის ეპარქიაში აკადემიელები და სემინარიელები მიდიოდნენ მოძღვრებად. მას აქეთ კი, რაც ჩაესვენა მისი მზიური სახე, იმავე ეპარქიაში მოძღვრებად მიდიან სოფლის მწერ-ლები. ან და სრულიად უსკოლო, ან კიდევ სამოქალაქო სასწავლებლიდან გამორეკლნი. რა თქმა უნდა, ასეთი სამღვდლოება ბარტახ ეკლესიას ვერ გაჟფურჩქნის, დაცემულ მწიგნობრობას ვერ ააღორძინებს.

განა გასაოცარი იქნება, თუ ამისთანა პირობებში ჩვენი ხალხი გულის აიკრუებდა ეკლესიაზე? ვიდრე ჩვენი ხალხი ისმენდა ქართულ წირვა ლოცვას, ვიდრე ქართველი ხელმძღვანელი და თავი ეკლესიისა განაგებდა ივერიის ეკლესიას, ყოველთვის სასოების მომგვრელი და სათაყვანო ადგილი იყო მამა დავითი, სიონის ტაძარი, ანჩისხატი, ნუ ქვა-შვეთის ეკლესია. ვინ წარმოიდგენს. რა აღტაცება, რა დიდი დღესასწაული იდგა ხოლმე, როდესაც გაბრწყინებულ სიონში ჩვენი ქათალიკოსი ასრულებდა მღვდელ-მოქმედებას! დღეს კი... დღეს... ქართველ მლოცველს არა თუ არ მიუხარიათ სიონში შესვლა, იმის მგლოვიარე სახის დანახვაც კი ტანჯვას ჰგვრის! ამიტომაცაა, რომ რამდენადაც მეტად უყვართ იგი იმდენად უფრო იტანჯებიან... გაურბიან კიდევ... შეიძლება ეს დიდი შეცდომა იყოს, მაგრამ ფაქტი აქეთია და მას ვერ დაფარავთ...

რომ ქართველობას არ დაუკარგვია რწმენა და დიდი სიყვარულიცა აქვს წინაპართა ნიერ ნაანდერძვე სარწმუნოებისა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ როდესაც ამას წინადა ხმა გაისმა ალავერდის კახედრას კვლავ თავის მოძღვარი დაუბრუნდაო, ყველას გული გაუნათდათ, სიხარულის შარავანდედით შემოსათ ნათელი სახე. მაგრამ... როგორც სჩანს, ბედი არ გვწყალობს.. ყოველივე შემთხვევაში, თუ მაინც და მაინც ის განმეორდება ან უნდა გამეორდეს ოდესმე რაც ეხლა ხდება და ქართულ კათედრაზე. თუნდა სახელმწიფოებზე, უნდა არა ქართველი და აყენონ, დეე, დარჩეს იგივე კათედრა ისევ ოზლად, რადგან იმედი და საოსებით მაინც რცოცხლებს ჩვენი ეკლესია, თორემ ასეთი საქციელით იგი სამწყსოც ჩამოშორდება, ეს იმ სამწყსოს, რომელიც დღემდის ამ ყოფილ კათედრას შერჩენია.

დიახ, სწორედ ლახვარის თანასწორი იყო ეს

ამბავი ჩვენი ერისათვის. მართალია, ისედაც მრავალ ტანჯულ ქართველ ერს და მის ეკლესიას ბევრი რამ გადახდომია თავზე, ბევრი იმედებისა და უიმედობის ფილა გამოუმშრალებია, არც თუ ამ დანიშვნაში ჰხედავს რაიმე მოულოდნელს, მაგრამ

— ზიანი.

უღდეური გაზაფხული

ჰო და რა, მაშ რა არის თუ არა უღდეური გაზაფხული? ჯერ თვებრვალს ფრთა არც კი შეუკვეცია, რომ ამ დღენაკლამ თავი წამოჰყო და სულელსავით გაიღრიჭა. უმზგავსი! ნეტავი რა აცინებს? აქაო და ბუნების წესრიგს წიხლი ვცხეო, სიცილის უფლებაცა მექნებაო! ზოგი „ტიფლისელებსაც“ ჰკითხოს, რამდენად ეცინებათ! სულ მათს აყრიან! ან რატომც არ დააყრიან, როდესაც ეს უღდეური მოყოლილა და ოსმალთა ტყვეებს კოტრაბანდად აყოლებს ქირისა და ათას გვარ სნეულებათა თესლეულობას. თავზე ხელი მოუსვია, ბატონო ჩემო და მარჯვენა თუ მარცხენა აბნეეს... სთესს. თითქოს სასურველი ყვავილების თესლიაო თან კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით!

მაგრამ „ტიფლისელები“ რის „ტიფლისელები“ იქნებოდნენ, რომ საქირო ზომები არ მიეღოთ და საკუთარ პარლამენტიდან შესაფერი განკარგულებანი არ გამოეცათ. ძველის ძველ კარაბადინში აღმოაჩინეს, რომ ქირს ქუჩე და სივიწროე სჯავრება, თურმე ქირს სიკვდილი მოსდევს და სიკვდილს კიდევ ახალი ქირი... ამიტომაც რადიკალურ ზომებად ჯერ ის მიიღეს, რომ „ტიფლისში“ ყოველი კუთხე მოეარნათ, რომ ასეთი ქუჩე და სივიწროე მოეპოოთ, სწრაფად გაჩნდნენ იობის ეშმაკებიც — სანიტარები, და აი, სხვათაშორის რა მოხსენება წარუდგინეს თავთავიანთ ნახულის ვითარებაზე:

— გავეკირდი, ვეღარ მიცენია ჩვენი შუა ბაზარი, — სთქვა პირველმა, — ასეთი სუფთა ასეთი კულტურულად მოწყობილი, ასეთი კრიალა რამ არ უნახავს თვალს. ერბო რო დაგექცეს, ისე აჰკრიბავ, რომ მტვერიც არ მოეკაროს. ვარდის სურნელოვნებამ ოდეკალონი დასჩრდილა... გააქარწყლო...

— ოჰო-ჰო-ჰო! რა ბაკები, რა თავლები... რა თავლები, რა ბაკები! — განაგრძო თავის მხრით ავლაძრიდან მოსულმა მეორე ეშმაკმა, — ხომ წარმო-

გადგენათ ჩინეთის მეფის სასახლე, ან ისეთი, ზღაპრებში რომ დიდი ხელმწიფის სასახლეებია, სწორედ ისეთია... რა „კლანისაცია“, რა „ვინტილიანცია“! ეხლა ელექტრონი პა-პა-პა-პა! სულ ცეცხლის ზვირთი გეგონება... ალის ფერი ცისარტყელას ზოიფები!

მაგრამ მისი პოეტური აღფრთოვანება უეცრივ მესამე შიკრიკმა დაარღვია მეტად მძიმე და აუტანელი დისონანსით. ზურმუხტოვან სოლოლავის კალთებზე სერგის ქუჩის სივიწროვს კინაღამ სკოლი შეეხუებინა მისთვის. ჰაი-ჰარად გამოქცეულა. წინადადება შეიტანა სერგის ქუჩა, შემდეგ, ზოგიერთა სახლები, რომელნიც შემთხვევით პრისპექტზე თუ სხვა დიდ ქუჩებზე აუვიათ, დასწვან, ან და შიგ აყვე თურქები მოათავსონ, რომელთა გაწყვეტა ხმლითა თუ ქირით ჩვენთვის სულ ერთიაო.

მაგრამ ამ გულგასახეთქს მოხსენებას ახალი მოჰყვა:

— რა ვნახე, რა... მიშველეთ... უბედურება... „მუხრანის დვორს“ ქირის ბაცილების ბუდედ გადაქცეულა... წუბუბე... *ალახი.. ნავით მომიხდა შესვლა... მწვანილში ბაცილა.. გორდებში ბაცილა... ბანკებში ბაცილა... ჯონჯლის წილში ბაცილა.. ყველში კიდევ სამ არშინიანი ტიფის ბაცილა... რა სივიწროვ.. რა სიმკრალე... მარჯვნივ ბაცილა... მარცხნივ ბაცილა... კედელზე ბაცილა... ცაში რომ ავიხედე, იქაც ბაცილები დაფრინავდა... ერთი სიტყვით, „კარუგომ“ ბაცილა იყო... ბაცილა... სულ ბაცილა... ბაცილა...

მაგრამ შენეთ, ახალი უბედურება:

— წყალი, წყალი... ტიფის ბაცილა თან წამოყვია!— შეჭრილია ახალმა შემოსულმა: ვნახე „ქართლი“-ს საზოგადოება... რა უქნიათ... რას სჩადიან... ხელოვნურად ტიფის ბაცილებს ავრცელებენ... ვაშლები... რა ვაშლები... დამყაყებელი... გაოხრებული... კიბორჩხალას მზგავსი კამეჩის თავის ოდენა ბაცილები დაცოცავენ... შიგნით კიდევ, ეხოში ახალ ყაფაზებს ამზადებენ... დასწვით, დასწვით.

დაიხრიალა და გულიც წაუვიდა.

„ტიფლისელები“ მის მოსტრიელებში იყვნენ, რომ კიდევ ცხელ-ცხელი ამბები შემოიტანეს ფრინავმა შიკრიკებმა. ამათაც აღმოეჩინათ მზგავსი ბაცილები, საპურთალოზე, რიყეზე... წისქვილებზე...

თქმა არ უნდა, ყველას მოხსენება ყურადღებს და სასტიკი ზომებიც მოიპარჯვეს ბაცილების

მოსასპობად: გადასწვან ყველა ჩამოთვლილი ადგილები, ვერაზე ნაბდის ფარდა ჩამოაფარონ ქართულ ვიშნაზიის თეთრ შენობას, რომ ზენა ქარს შეუშალონ ქროლვა. რაც შეეხება „მუხრანის დვორს“ და მის „ვიწრო სოროებს“, გაფისულ იქმნას, რომ შემდეგ ქვაფენილით მოართონ, ხოლო იარმუკა გადაიტანონ „ვანქის ბახრის დვორში“, სადაც სიმშვენიერეს, სისუფთავეს და სიფართოვეს ვერ ასწერს თვალი!

თვალი დაუდგეს უდღეურ ვაზაფხულს, მაშ რა ეგონა? „ტიფლისელთა“ კარაბადინი ზევს მაგისტანა უდღეურებს დაასამარებს!

შავთვალ..

შ რ ე ს ა

„ახალმა აზრმა“ ფრიად სიმპატიური წერილი უძღვნა თავის ფურცლებზე გამოქცეულთა ბედს. იგი ხსნის გამოქცევის მიზეზებს, ეხება სომხებს, აისორებს, რომელთაც ფაქტიურად ყველა ემხარებინა და ბოლოს განიხილავს ჩვენი ქვეყნის ერთ კუთხეს, აქარას, რომელსაც უდიდესი უბედურება დაატყდა თავზე, მაგრამ პატრონად, დამხმარებლად კი არავინ აღმოუჩნდა:

„დღეს ადგილობრივი და სატახტო პრესა სომეხთა და აისორების ბედს დასტირის. მართლაც, მათი მდგომარეობა მძიმეა. წარა არის ერთი კუთხე, რომელსაც გარეშე და შინაურ მტერთაგან გაცილებით უარესი დღე დაადგა. ეს არის აქარა, მისი მდგომარეობა მართლაც აუწერელია. გაივლის ხანი, სომეხ-აისორების უმრავლესობა თავის სახლ-კარს დაუბრუნდება, ხოლო აქარელთა გოდება შთამომავლობას ისევე გადაეცემა, როგორც ებრაელთა გოდება მდ. ეფრატის ნაპირას. ამას ისტორია ვერ დაივიწყებს.

აქცევენ თუ არა აქარლებს რაიმე ყურადღებას?

ადგილობრივი შოვინისტურ პრესა ამხე განზრახ სდუმს. ამავე ტაქტიკას აწარმოებს ლიბერალური პრესა რუსეთში. პ. მილიუკოვები ბოსფორ-დარდანელისაკენ იქპირებიან და ამიტომ აფუჭებენ აქარელთა აწიოკებას. მართალია რუსეთის ლიბერალები, არც სომხის ერისათვის იმეტებენ თავისუფლებას, მარა დახმარებას მიიწვიან პირდებიან, დახე თ საკვირველებას! ამ დახმარება-

შიაც შოკინისტურ შხამს ანთხევენ. დაეხმარე სომეხსა და აისორს, მარა გულზე ხელი ჰკარ საბრალო აქარელს, საერთოდ მუსულმანს და შეიძლება ქართველსაც. ასეთი პოლიტიკის მიზანი ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, მარა სამწუხაროდ მას ვერ არჩევენ სომხის ნაციონალისტები.

პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ: დაქსაქსე, რომ იბატონო. და აი პ. მილიუკოვებიც კავკასიის ერებს ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებენ, რომ ყველა ერთი წინანდებურად დაიმორჩილონ. ნუ თუ ეს ძნელი მისახვედრია?

ასეთი პოლიტიკა დამღუბველია მთელი კავკასიისათვის და ამიტომ ყველა ვალდებულია მას შეებრძოლოს. დახმარების ღირსია ყველა გამოქცეულ და დარბეულ აწიოკებული. აქ არ არის არც ელინი და არც იუდეელი, თუ ხაზინა დახმარებას გაიღებს—ეს კი აუცილებელია—ის ყველა დარბეულს უნდა მიეცეს განურჩევლად ეროვნება-სარწმუნოებისა.“

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ყველას, არავითარი ელლინი, არავითარი კბრაელი! მაგრამ თუ სხვები არ გვაქცევენ ყურადღებას, ჩვენი მოვალეობაა მარად ვიყვიროთ, ნალარით შევძრათ ქვეყანა, რომ გვშიან, გვწყურიან, დარბევისაგან სული ჩვენც გვხდება! საკუთარ წყლულს მივხედოთ, საკუთარს და ჯანსაღნი და განკურნებულნი, გვერწმუნეთ, მეზობლებს და სხვებს უფრო თამამად დავებმარებით და შეუმსუბუქებთ მძიმე ტვირთსა.

„რას ნიშნავს ეს?“ ამ სათაურით ერთ წერილს ათავსებს გაზეთი „ბაკინეცი“ თავის მორიგ ნომერში. წერილში გამოთქმულია აღტაცება აკაკის გრანდიოზულ დასაფლავების გამო, როდესაც ქართველობამ „თავის კულტურულ ძალთა დემონსტრაცია მოახდინა“. შემდეგ ეხება თოფჩიბაშის

მიერ წარმოთქმულ სიტყვას, რომელმაც დიადი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე და ბოლოს მოჰყავს „ჰორიზონის“ წარმომადგენლის სიტყვა, რომელიც დისონანსად შეიქრა აღფრთოვანებულითა სიტყვებში მხოლოდ იმიტომ, რომ ერთგვარის უმაღურობით უენიშნა: ჩვენ მას პატივსაცემთ მის პოეტურ ნიქისთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილებსაო“. სწორედ ამის გამოა, რომ „ბაკინეცის“ გაკვირვებით ნიშანს მოჰყავს კითხვითი ნიშანიც:

„რას ნიშნავს ესა?“ და შემდეგ: „ნეტავ რას ჰგულისხმობს ბ-ნი ტატევოსიანი („ჰორიზონის“, წარმომადგენელი)? იგი განსვენებულს მხოლოდ კარგს პოეტად სახავს. და ეს არის სულ, სხვა არაფერი? მაგრამ როგორც ადამიანი, როგორც ხალხის მასწავლებელი, როგორი იყო განსვენებული? იგი ვერ მგდავს გარდაწყვეტით პასუხი მოგვცეს მაგრამ იმდენ გულკეთილობამდინ მაინც მიდის, რომ ა. წერეთელს აპატიოს მისი ზოგიერთი პუბლიცისტური გამოსვლა, როგორც „მის მოწოდებისთვის შემთხვევითი და სრულიად უცხო რამ“.“ ვიშ, რა კეთილი ვინმეა ბ-ნი ტატევოსიანი! მაგრამ დაე, უწყოდენ ბ. ტატევოსიანებმა, რომ აკაკის გამოსვლა არასოდეს უცხო არ ყოფილა „მის სულისა და მოწოდებისთვის!“ და არც შეიძლება ყოფილიყო! ეს ცილისწამებაა! ეს სიცრუეა! მაგრამ თუ ვისმეს რაიმე არ მოსწონს მის შემონაქმედში, აქ პოეტს ბრაღი არ უღევს, როგორც მის საყვარელ მშობელ ქართველ ერს, რომელიც გულწრფელად ყველა მეზობლებს თავის ძმებს უწოდებს! არა, არა ბ. ტატევოსიანებს არავითარი უფლება არა აქვთ განსვენებულის ფერფლს, კთილშობილ ქართველ ერის ღირეულს წინამძღვარს, რაიმე საყვედური შეუთვალონ!“

ომის რვეულიდან


აგერ დედას ქორთა შვილი დაუგდია შარა გზაზე,
დაფეთებულ ირემივით თავად გარბის მალლა მთაზე;
პატარა კი ხელ-გაწვდილი გათოშილა, მთლად დაძრულა,
როგორც დასვა დედამ შვილი ისე არი, არ დაძრულა.
დედაც, მაშ შვილს აქამდისინ ძუძუს რაღად აწოვებდი
თუ სამგლედ და საყვავ-ყორნედ შუა გზაზე დასტოვებდი,
ფუჟი შენისთანა დედას, ფუჟი შენისთანა მშობელს,

ძუძუ მკვდარს და შერცხვენილსა, სისხლისა და ხორცის მგმობელს.
 უსულ-გულო ნაფოტს ჰგევხარ, თვით წყალმაც კი რო გარ იყა
 თუ ნაძღვლი დედა იყავ, შეილთან უნდა მომკდარიყა.

ყველა დედამ სიცოცხლისთვის ტყე და მთა რო გაიფარდოს,
 მომავალი ვაჟაკები ვიღამ უნდა აგვიზარდოს?!
 მარტოდ მარტომ, ერთად ერთი სხლლად თავი რო გადირჩინე
 უბედურო ამითი ხომ მტერი უფრო გააცინე.

თუ სიცოცხლემ დაბადებით სიბეჩავე გიანდერძა,
 მაშ ბუნებამ რაღადა გშვა, და დედობა რად გაკერძა!
 არა, არა, არ მგონია, ამას როგორ ჩაიდენდა,
 დედაშენიც შენს მაგივრად გვამიდან წყალს დაიდენდა.
 თავად გაჩნდი შენ ეგეთი მახინჯი და მაიმანი,
 შენ სხვა დედებს არა ჰგევხარ და არცა ხარ დასაძრახი.
 ყველა შენისთანა დედა სოფელს უნდა გაერიდოს,
 რომ მიწყერმა ჩაიტანოს და ღვართქაფმა შორსა ზიდოს!..*)

შიო მღვიმელი.



ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

(მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა)

გასულ წელს ბნმა მიხეილ გედევანიშვილმა ფრან-
 კად სიმპატიური სჯამე განიზრახა: ძვირკასად გამოცემა
 ილია ჭავჭავაძის თხზულებანი და ამით ერთგვარი უძვირ-
 ფასესი ძეგლი დაედგა სასკლფოან მამუღიშვილისთვის,
 თუნდა იმის მინამგზავს სახით მაინც, როგორც „ვეფ-
 ხის ტყარსანი“ საშვილიშვილო გამოცემა დაგვატოვა
 ქართველიშვილმა. ამ გარდაწვეტილებამ, გვასხოვს, ზრე-
 საში თუ ისე, მიზანშეწონილი რეკლამის გამო, დიდი
 აღტაცება გამოიწვია ეგელა ქართველის გულში, ეგელა
 ატოკდა, სიამის ქარმა დაჭებრა, და მოინდომა პატივცემ-
 მულ გამოცემისთვის ყოველმხრით შეეწყო ხელი, რომ
 ამით მაინც ცოტად თე ბევრად უნებურა საშთამომავლო
 ჩირქი უგუნურების მიერ ჩვენს თავზე მოხვეული რთ-
 გორმე ჩამოერტნა. შესდგა კომიტეტი, გამართა სწრა-
 ფი კრებები. მოიწვიეს მხატვრები, კრიტიკოსები, ერთი
 სიტყვით, ყველა ისეთი ზარები, ვისაც ცოტად თუ ბე-

რად შეიგნობრობისა ესმოდა რამე. აქ ადგილი დაუთმეს
 თვით მარტივთა წარმომადგენლებსაც კი. ეგელა ამ ამბებს
 საზოკადოება უურგანაბელი უნქეროდა და მოუთმენლად
 ელოდა აღთქმის კიდობნის ნახვას. ეს ხატვრა, გვიან,
 მაგრამ მაინც აუსრულდა. ფრიად მსუქანი სიფასურით
 ხელის მომწერლებს დაურიგდათ გამოცემის პირველი
 ტომი, გ. ეიფშიძის წინასიტყვაობით და გ. აბაშიძის
 კრიტიკული წერილებით. მაგრამ ვაი, რომ სანატრულ
 ფარდის წდისთანვე ეგელას პირგატა ეცა. ილიას მოთა-
 ევანე ქართველმა საშინელებად დაინახა გამოცემა. ვინ
 იცის, რამდენს გული სწულებოდა, რომ საშუალება არ
 მოეპოვებოდა მის გამოსაწერად. დღეს კი, ვინც გამო-
 წერეს, უურები ჩამოჭერეს და გულწათუთქელნი იძახოდ-
 ნენ: მაშ სულ ეს არის? გატყდა გული და აი გულგატე-
 ხდობას თავისი საბუთი ჰქონდა. ჯერ არის და ფერმა-
 ტი გამოცემისა არ არის სასურველი. ჰხედავთ, მასლის
 დირსებს მხოლოდ კარგი ქალაქი შეადგენს. რაც შე-
 ენება მასლის აწუბას, ტუნჩიკის უოკელგვარ საზღვარს
 ცილდეპა. აქ ნძვა რა არის, ისიც კი არ არის სათანა-
 დო. სკამარისია აიღოთ, რამდენჯერმე გადაფურცლოთ,
 რომ წიგნი ამიძნოს. ამას უკურავებოდა ადმიანა, რომ
 შიგნით მხატვრობის მართე გვაგმყოფილებდეს. არ ვი-
 ცი, მაგრამ რა ესეთი ურმა გემოვნებამ დასტური დასცა შიგ
 ჩაქსოფელ სურათებს? აი, თუნდა ავადბედზე გადავშლი

*) ავტორმა ერთ მკვებრისგან მიიღო წერილი,
 სადაც შემადწინებელი ფერადებით აწერილია ოსმალთა
 ასხარეზიდან გამოქცეულთა სურათები. სივულგრიდე...
 დედა როგორ გადაკვებს შეიღს უდარდედა. ამ ამბავმა
 ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მკვლარზე და
 გრძობათა განცდა ამ ლექსში გამოვსატა.

რედ.

ფურცლებს და მკითხველს ვთხოვ მსჯავრი გამოიტანოს: რა ფასი აქვთ გეთაყვათ, „ქართლის დედას?“ (გვ. 25) ნუ თუ შეტყვევდება ამ ქალის ცოტადნად შინც. გაფიქრებთ, გიპურობთ, რომ ილიასეული სანუკვარი „ქართლის დედა“ დავინახოთ? სადაა ფიქრმორეული შეტყვევება? ან რა ზოზა? ახლა ხელიბი? მთბიტევევი ილიას სულა, თუ ამ გვარს „ქართლის დედის“ ხელებს ბაჟეის განაგრეულ ფეხს ვუწოდებ!.. მაგრამ ვსდუმებო, მივალ ქვეით და ადარას ვამბობ უფრო სკოლის ნცადვილანის მხგავსს სურათბუხე, როგორც არის დედა აგვისან „ნანა“ (გვ. 49). ან კიდევ „მძინარე ქალი“ (გვ. 57), ანუ „დედა და შვილის“ გამთხროვება (გვ. 158) და სხვა. ავიღოთ უფრო სერიოზული და სანსუხისმკებლო: აა თქვენ წინ სურათი „აკაკო უხადიდან“ (გვ. 162). ნუ თუ ეს სურათი სავსებით გინატავსთ იმ შესანიშნავ მომარბას, რომელიც ილიამ უცხო ფერებით დაგვიხატა:

„მიღის ურემი და უეცრად
ვიდამც ტვიღან ასკუზა ცხენი,—
მოვარდა იგი ურემს შედგრდა,
მჭმუნვარე სახის ამჟედ მშენი“.

დასუკეთ თვალი და ისე წარმიდგინეთ ეს სურათი: რა ღამზობა, რა ცოცხალი ახლა დახედეთ აქ შესრულბუღს, სადაა ეს „ნასაკუბები ცხენი“, რომელიც ბუნებრივად ინერციას უნდა გაეტაცოს, სდავე ამტვრევდეს და ტარების ცემით მხედარს ძალად უნდა მიაქანებდეს საშვარდნო შარავისასკენ! ამოდ დაუტყუტა მუერმეს თვლები. მხედრის ფრიად ჩვეულებრივი ზოზა, შესვენებული ცხენი, თითქოს აზრატით გადასალებლად დამდგარი ჩაჩულა მგზავრი თანავ სიცოცხლეს არა ჭხატავს, მხედარს, რომელსაც დატუევებუელ მიმიხოს ფრთები გაშლია და კამარა გად გლებუღს ღაჟვარდისკენ მიუწევს გული! არა, დაჭხუკეთ კავალად თვალი, თორემ ილიას მიერ აღწერილ სურათის მშვენიერება დაჭკარგავს თავის დირსებას და უნებურად გულს დაგწუვეტთ!

ავიღოთ უფრო რთული, აკვარულით შესრულებული სურათი „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ გამგზავრება (გვ. 202). თქვენი არ ვიცი მკითველო, მაგრამ როდესაც ზირველად დახუდე ამ სურათს, შკონა, ილიას უცხო ერთა ცხოვრებას აუწინაა შეთქი, როცა ცნობის მოყვარობით გადავშალე ამ ჩემიგან ვითომც გამორჩენილ უცნობ ჰომემის წასაკითხად, გამეცინა: თურმე დიდი დიმიტრის გამგზავრებას სულ ახლად დაგავივრდი სურათს, არაფერი ამოვივითხე მშობლიური, ერთად ერთი პერსპექტივაში ვხედავ სექტიცხოველს, თორემ სხვაფრივ იგი ჩემთვის უცხოა. აქ შეტძლიათ იგულისხმობთ ბერძნუბი, ძველი რუსები, განსაკუთრებით ამაღა „ბოიარების“ ს-

ხით დალაგებულან, მაგრამ ძველი ქართველობა კი არა. არც ერი, არც ბერი ჩვენსს არ გვებნებათ, სრულიად უცხოა უსულ-გული, თუმცა სურათი ცოტად თუ ბევრად ხეირანად არას შესრულებული, თუ მხედველობასი არ მივიღებთ თვითონ მეფე დიმიტრის, რომლის გამომეტყველება უფრო ბანქალზე ნახატს მეფეს ჭკავს, ვიდრე თავდადებულის მჭმუნვარე შეტყვევებას.

ვერც „განდეგილი“ გვაკუთხოვიალებს, ანტურაჟის გარდა აქ ქართული არა არის რა. განდეგილი სწორედ იმ სურათის მაკანებს, რომელიც ჰუმეინის თხზულებათა იაფ ფასიან გამცემებში ხშირად იშოვება „ბოიარის ცოდუნობიდან“ რომ ამოდებულა: „еще одно послѣднее сказание“... ვერც განდეგილისა და მძინარე მწვეში ქალი არ არის სთანადოდ შესრულებული. უოკვლივუ შემთხვევაში ეს ის არის, რასაც ველოდით, რაც გვსურდა გვენახა.

აღარ შევეხები „გლახის ნამბობის“ სურათებს, ან „აკაცა აღმიანისს“, რომელთაც უფრო კარვტურული სახე აქვთ. ერთადერთი რამდენიმე დამამკუთხოვლებელი სურათი ისევე „აზრდილიდან“ არის (გვ. 122).

კიდევ ბუერის თქმას შეიძლება, მაგრამ კამარა. ვიტყვი, რომ ასეთი დიდი სასუილდოანი გამცემის სრულს სიმრგვალეს მოითხოვდა და არა ასეთ შაბდარის ჩვენი დარბი საზოგადოება წელზე ფეხს იტგავს, არ ზოგავს თავის საუვარულ მამულიშვილთა ძეგლკობისთვის თავის წვლილს, მაგრამ ჩვენც მოვალენი ვართ ზარათლად მას იმედები გაუმართლოდ, როგორც ეს შესძლო და სამარადისო ძეგლად დასტოვა განსვენბუღელმა ქროველიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ გამცემმა. ჩვენ ხაღსს უუვარს ეფექტი, უუვარს ღამზობა და კველუცი, მისთვის არას ზოგავს. მაგრამ ჩვენ ამთ ბოროტად არ უნდა ვისარგებლოდ, თუ ქართველიშვილობა არ შეგვიძლიან, გავკეთოთ ის, რაც ჩვენ ძაღდონეს არ ადგმატება, საზოგადოებისადმი ანგარიშის გაწევა დიდი მოვალეობაა და სამწუხაროდ სწორედ ის არის, რომ ამ მოვალეობის ზინათლად შესრულებას ვერ ვხედავთ ამ ახალს გამოცემაში...

ქართლელი.

გიორგი და გეურქა
(დასასრული.)

V

— ბარაქალა, ჩემო ბებანი! ჩემს მოლოდინს გადააპარბე. რა მშვენიერად მოაწყე ეს დუქანი და!..

— მე სახელად გეურქა მქვიან კნიაზ!

— და შე კი კაცო მამ აქამდის რაღად მიმალამდი შენ სახელს?

— ისე რაღა. სახელი კაცს უნდა ერქვას და მე კი მაშინ კაცი არ ვიყავ, როცა პირველად მნახე. კაცს თუ არაფერი აბადია, არც სახელის ღირსია იგი.

— მართალს ამბობ, ჩემო გეურქ. კაცი სახელით იცნობება; სახელს კი დამსახურება სჭირია ან ქონებით, ან გონებით, ან მამაცობითა და გულადობითა. აკი შენც დაიმსახურე სახელი ასე რიგინად და ოსტატურად ღუქნის გახსნითა და მოწყობით.

— ჩიტის რძე მოითხოვე, გიორგიჯან, როცა კი ვინდა—მზად იქნება!

— მაგაზედაც გერწმუნები. ისიცა მრწამს, რომ შენ გულშიაც ეხლა წალკოტი ყვავის და ამას იქით შენს პირის სახეზედაც განუწყვეტელი ღიმილი იქნება გამობატული.

— ეჰ, ჯერ სადა სცალიან ჩემ გულს საწალკოტით! ეხლა უფრო ძრიელ იწყო ზღვასავით ღელვა ჩემმა გულმა. ხუმრობა ხომ არ არის—შავი ღლით თანხა შეეკარი და სულ აქ ჩავყარე ვაჭრობაში; ეხლა რომ ვიზარალო, ხომ დავიღუპე სულიან ხორციანათ!

— შენც ისე მოიქეცი, რომ არ იზარალო.

— აბა როგორ მოვიქცე გიორგი ჯან, ძვირად მოგყიდო სავაჭრო? რომ ვერ ვიზამ მაგას! მამ რიღას მეგობრებივართ, თუ მეტს გამოგართმევ სავაჭროებში? იმდენი დღეგრძელობა შენა გქონდეს და მეც, რაც მე შენთვის ნასყიდობაზედ საქონელი მომიცია. ან ნისიით ნურაფერს დავახარჯინებ? რომ ვერც მაგას ჩავიდენ! იქნება არც კი იცოდე, ღვთისა წინაშე მეც არ მითხოვნია შენთვის—თუ რა ჯამი შედგა აქამომდე შენი ნისიებისა. ვაჭრობა კი ისეთი არის, რომ ნაღდი უნდა ტრიალებდეს ყოველთვის, რომ მოგება გადიდეს და ამით თვით ვაჭრობაც გაჩაღდეს და გაფართოვდეს.

— სწორედ გითხრა, მე შენზედ არა ნაკლებ მეწყინება, რომ იზარალო და ეგ შენგნით დაწყობილი სასარგებლო საქმე ჩაიშალოს. რითაც კი შესაძლებელია უნდა ვეცადნეთ, რომ არაფერი ევენოს მაგ საქმეს და პირიქით წარმატებაში წავიდეს, როგორც ფრიად სასარგებლო საქმე.

— მამ სასარგებლო საქმე რომ არა ყოფილიყო, მე ხელს მოვკიდებდი! მე შენთვის ვცდილობ კნიაზო, რომ სარგებლობა რამ მოგიტანო, თორემ

სხვა კი არაფერი მაქვს სახეში. თუ მე ჩემი კერძო სარგებლობა მქონოდა სახეში, განა ისეთ სულელურ საქმეს ჩავიდენდი, როგორც ეს მე ჩავიდინე საღუქნე ადგილის ამორჩევაში? საზოგადო-მეგობრული სარგებლობის სურვილმა ისე გამიტაცა და დამაბრმავა, რომ აი სად ამოვიჩიე საღუქნე ადგილი და არა ჩემი კეთილშეძინებულის გვერდითვე. აბა რასა ჰგავს: აქ ეს საღუქნე ჩემი ადგილი, იქ სახლ-კარი და მოწყობილობა, მათ შუაში შენი ამოდენა ადგილ-მამული აბა რასა ჰგავს? რომ მონდომო ერთ ღროს ფეხებს შემომანტვრევ და აღარ გამატარებ შენს მამულზედ. ფრთები კიდე მე არა მაქვს, რომ ღუქნიდამ სახლში გადავფრინდე ხოლმე და სახლიდამ ღუქანში.


— აბა, გეურქ, შე კი კაცო, თუ გულში გქონდა ეგ, პირად როგორ დასთქვი ვის შეუძლიან შენ ხმა გაგცეს ან ფეხები შემოგანტვრიოს! მამ რის მეგობრობა და მეზობლობა არის ჩვენში?

— შენ, ვიცი, არ გამცემ ხმას, კნიაზ ჯან, მაგრამ შენი შვილები გამცემენ ხმასაც და ფეხებსაც შემომანტვრევენ. მე და შენ თუ მეგობრულადა და მეზობლურად ვცხოვრობთ, შიძილება ჩვენი შვილები ვერ მორიდდნენ ერთმანეთში. ამისათვის ეხლავე უნდა მოვეუაროთ საქმეს ისე, რომ ჩვენ შვილებს არაფერი საბუთი უსიამოვნებისა არ დავუტოვოთ. მეტად უხერხულად არის გაჩხირული შენი მამული ჩემს კეთილ-შენაძენში. მე, რასაკვირველია, შენგან უფასოდ (ფეშქაშად, როგორც შენ ჩვეულებად გაქვს) აღარ ვისურვებ მამულის მიღებას; ეხლა მეც შემიძლიან, ღვთით, პასუხი გაგცე, და ან ამოდენა მაპულს, რომელიც ჩემს კეთილ-შეძინებულთა შუარის გაჭიმული და გაჩხირული, ვინ მიფეშქაშებს. მოდი და ეგ შენი ნისიები გავასწოროთ. ზოგიც ეს ნისიები, ზოგიც ფულად მიიღე ჩემგან და ეგ მამული მე დამითმე. ჩემი კეთილ-შეძინებულიც გაერთიანდება და ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებსაც მოუხსობთ ამით ერთმანეთში უსიამოვნობის საბუთს. ერთ მხარეს შენ იქნები შენი დანარჩენი მამულით, მეორე მხარეზე მე ჩემი კეთილ-შეძინებულთა და ვიცხოვროთ ასე ტკბილად, ძმურად და მეზობლურად - რას იტყვი ამაზედ?

— კარგი და პატიოსანი, მე სრულიად თანახმა ვარ ამაზედ.

VI

— გიორგი ჯან რა კი კაცი ხარ შენ და რა ნაირად მეტრალეები, რომ შვილები არ გივარგანან— შენ არა გგვანან.



რუსების ჯავშენიანი მატარებელი.

— მე რაღას ვჩივი ჩემო გეურქ! მართლა და განა საბრალისი არა ვარ და სამწუხარო არ უნდა იყოს ჩემთვის, რომ ცხოვრების წყარო—მამულ-დედული ხელიდამ გამომეცალა და ერთი ჩემ შვილებ-თავანი, გონებით დაბრმავებული, ცათაფრინვას ეკიდება!

— შენ გიორგი ჯან, მესამე შვილს ემდური, როგორც ვატყობ. მაშ ვერ გაგიგია ჩემი აზრი. პირიქით ის მესამე შვილი არის შენ შვილებში საუკეთესო. (იმან შენც გადაგაქარბა კაი კაცობაში. შენ ზოგი მამული თუ მიფეშქაშე, მომეტებული ნაწილის დათმობა იძულებითი მოგიხდა და გენანებოდა და ახლაც გეწუხება მისი დაკარგვა. მაგრამ თუ ეგ შენი უმცროსი შვილი იქნებოდა შენს ალაგას, სრულიად უფასოდ, დაუნანებლივ და გონიერულის მოსაზრებით მე გადმომცემდა საკუთრებად მთელს მამულებს. მაგას ესმის, რაშიაც არის საქმე.) როგორც განათლებული და შესმენილი კაცი, სახელს დიდებას ეძებს და ამისათვის მამულს, არა სთვლის საჭიროდ, ღმერთიც მიანიჭეს რასაც ეძებს. ხომ გახსოვს, რანაირად შეგებრძოლად შენცა და შენს უმფროსს შვილებსაც, როცა თქვენ უარზედ იდექით და უკმაყოფილებას აცხადებდით ტყისა და მინდვრების ჩემ სახელზედ დამტკიცების დროს? მაშ საფუძვლიანად ვერ გომტკიცებდათ, რომ

„მამული მხოლოდ გიშლიდათ და აფერხებდა თქვენს წარმატებით სვლას განვითარებისა და გათვითცნობიერების გზაზედ?“ აი ბაშადოლოემ რომ ყოჩაღია ყოჩაღია და! ღმერთმა დიდი დღე მისცეს, თავის მიზნს უთუოდ მიაღწევს.

— შენი ღიმილი ძრიელ კარგათა ჰხატავს, რა მიზანსაც მიაღწევს.

— ვა, გიორგი ჯან, რა ჩემი ბრალია, რომ ახლა მე ვილიმები და შენ კი აღარ. ახლა ჩემ გულში ჰყვავის წალკოტი და იმისთვის ვილიმები. ერთიც მინდა შენ გასიამოვნო. ხომ სულ იმასა ჰნატრობდი, რომ ჩემ პირის სახეზედაც დაგენახა ღიმილი და აი ახლა ესეც დაგანახე. ხომ მადლობელი ხარ ახლა?

— ეჰ, რა გაეწყობა!

— ის გაეწყობს რომ შენი უმფროსი შვილები მეტის-მეტად თავხედობენ და გააფრთხილე. იცოდე ისინი შეგარცხვენენ და უბედურებასაც შეგამოხვევენ.

— მითი თავხედობენ, რომ უსამართლობაზედ ხმას იღებენ?!

— ვა, როგორ თუ უსამართლობაზედ! მაშ ვალს მოშორება არ უნდოდა?

— ვალს კი უნდოდა მოშორება, ჩემო გეურქ, მაგრამ განა სხვანაირად არ მოველებოდა საქმეს?

თუ მოულოდნელად წრეს არ შემომავლებდი და შეღავათიანად მომექცეოდი, განა ვერ შევძლებდი შენი ვალის გადახდას ისე, რომ სრულიად არ დამლუპვოდა მთელი მაშულ-დედული? რას მოვიფიქრებდი, რომ შენ დაივიწყებდი შენს იმ გარემოებაში ყოფნას, რა გარემოებაშია, პირველად მე შენ შეგვიხიზნე და შევიფარე და იმ ჩემს ამაგსაც, რაც მე შენზედ დავთესე.

— ეჰ, შე დალოცვილისშვილო, მოჰყოლიხარ და იგონებ შენც წარსულს. თუ რამ სიკეთე გიქნია ჩემთვის ან სხვისთვის, ღმერთი გადაგიხდის. უნდა გაიგო და შეიტყო, რომ სოფელი ასე ვთქვათ, ცხოვრება კაცისა ცვალებადია: ხან ერთი დგას მალა, ხან მეორე. მხოლოდ უნარი და გამჭრიახობა კაცისა იმაში გამოიხატება, რომ სამუდამოდ შეინარჩუნოს კაცმა მალა დგომა. თუ წინად შენ იდექი მალა, ახლა მე ვდგევარ მალა და უნდა ვეცადო ყოველის საშუალებით, რომ სამუდამოდ შევინარჩუნო ეს მალა დგომა.

— ვერ არის კი გადახდა, თორემ შენ იცი.

— ვა, რა ვქნა, რომ ჩემთი: ღმერთს სულ სხვანაირი სული და გული მოეცია და რაც უნდა ბევრი მიკითხო თუ რა სიკეთე გიქნია ჩემთვის და რაც უნდა ბევრი იყბედონ შენმა პატიოსანმა შეილებმა ჩემს ვითომდა უსამართლობაზედ, ვეღარაფერს ვერ მოეწევი. მე თქვენი წყრომა და თუნდაც რისხვა შენი შეილებისა ძილს ვერ გამოფრთხობენ. ყველამ კარგად იცით, რომ მე ავაზაკობა და ყაჩაღობა არ ჩამიდენია, ვის დავეცი შირა გზაზედ, ან ტყეში ვინ მოვკალ-ვინ გავცარცვე? ამისთანები ისევ თქვენ მხარეს მოიკითხეთ. მე კი ღმერთმა დამიფაროს ამისთანა ავკაცობისაგან. მე რაც კი მომიპოვებია ჩემთვის მომიპოვებია და შემიძინია ჩემის ქუთათა და ყაირათობით, გამჭრიახობით, ხერხით, კეთილის შრომით და პატიოსნებით. და როგორ არა რცხვენიათ იმ შენს პატიოსან შეილებს, რომ ვერ შეუგნიათ ეს? უსაფუძვლოდ ყვირიან და დაუმსახურებელ ბრალსა მდებენ და შეურაცხოვას მაყენებენ უდანაშაულო კაცს?! განა ეს პატიოსანება და სიჭკვიანე არის მათის მხრით? რა სწადიანთ ამით? სიმძულვარე და შფოთი უნდა ჩამოაგდონ ჩვენში და მოშალონ და მოსპონ ჩვენი კეთილი მეზობლობა? განა ამას შეგნებული და ნამუსიანი აღამიანი ჩაიდენს?

— აბა რა გიპასუხო მაგაზედ გეურქ!..

— გეურქ სიმონი-თქო...

— ჰო, გეურქ სიმონი, რა გიპასუხო მეთქი

ყველა მაგაზედ? არაკი კი არ გეგონოს, ნამდვილ ამბავს მოგახსენებ. ერთს ორთავ თვალთ ბრმა ახალგაზრდას ტყეში სასირცხვილო საქმეზედ მოასწრო თვისმა მეზობელმა და დაუძახა: სვიმან, ეგ რასა ჰშვრებიო. ბრმამ ხმაზე იცნო მეზობელა და მი. აძახა: ტიტია, არა გრცხვენიათ რომ მამასწარი ამისთანა საქმეზედაო. ფუი, შენ კაცობას კირა უთხრაო. შე კაი კაცო, თვალს ვერ ამარიდებდი, თუ დამინახე და ისე ვერ წახვიდოდი შენს გზაზედაო. სწორედ ეს ამბავი მაგონდება ახლა შენს ჩივილზედ,

— მაშ შენც ადასტურებ შენი შეილების საქციელს რაღა? კარგი, ასე იყოს!

VII

— გეურქ სიმონი!

— პარუნ გეურქ სიმონი-თქო!..

— პარუნ გეურქ სიმონი, რა არის, რომ მაგისთანა სასტიკობა არ გამოგეჩინა!..

— რაგინდა? ცოტა მალა თქვი; მე არ მესმის კარგად, როცა ჩემს სასარგებლოდ არა ლაპარაკობენ.

— ერთად-ერთი სახლი და დამრჩა თავის ეზოთი; ყველაფერი ტყე იყო თუ მიწოდარი, თუ ვენახები—სულ გამომაცალე ხელიდან. რა იყო რომ ეს სახლი მაინც არ შემარჩინე და ისიც გინდა ჩამომართვა და დაშვა სრულიად ცარიელზედ. რა მტრობა მოგაგონდება ჩემგნით, გარდა სიკეთისა, რომ ასე შეუბრალებლად მეპყრობი?

— კაცო, ნუ თუ შენ ვერ წარმოგიდგენია, რომ ის შენი სახლის შენობა თავისი ეზოთი მთლიანობას უკარგავდა, როგორც ლამაზი ქალის ლოყაზედ ამოსული მუწუკი, ისე ამახინჯებდა ჩემს კეთილ-შეძინებულ მამულს. შენა გგონია შენი სახლის შენობა მიტაცებდა თავისი სიძვირფასით—ეგ შენობა ხვალვე მოიწმინდება თვისი ადგილიდან, რადგანაც ჩემთვის საჭირო და სასურველი ადგილი იყო მხოლოდ და არა შენთბა.

— ესე ჩქარა როგორ უნდა დაივიწყოს კაცმა, პარუნ გეურქ სიმონი, როგორც შენ დაივიწყე ჩემი ამავი, ჩემი მეგობრობა?

— ეჰ, შე მამაცხოვებულო, იგონებ კიდევ წარსულს რა ამავი და რის მეგობრობა? მეგობრობა გამოგონია თანასწორი პირებისა. ჩვენში კი რა თანასწორობა შეიძლებოდა ან უწინ ან ახლა. უწინ შენ არ იკადრებდი ჩემს მეგობრობას და ახლა კიდევ მე არ ვიკადრებ შენს მეგობრობას. თუ მოგო-

ნება არის წარსულისა, ის მაიგონო, თუ როგორ მარიგებდი: გულ-მაგრად უნდა დაუხედე კარზედ მომდგარ ყოველგვარ უბედურებასაო. აი ეს დარიგება ახლა თითონ შენ გარგებს და გამოგადგება. ისიც მოიგონე, რომ მაშინ, როცა პირველად ერთმანეთს შეგვეყარა ღმერთმა, შენ გულში წალკოტი ჰყვავოდა, და ჩემ გულში ქვაბი სდულდა. ახლა თუ შენი გული სდულს ქვაბსავით, ჩემ გულში წალკოტი ჰყვავის. მაგრამ ზოგჯერ გული ქვათაც გადაიქცევა ხოლმე და იცოდე, რომ, როგორც ქვა აღუდებულ ქვაბში ვერ მოღებება და ვერ მოიხარშება, ისე ჩემი გულიც არ მოღებება, რაც უნდა ძველებური ზღაპრები და არაკები გააბა. იმ შენ ყველა შვილებსაც ურჩიე, რომ არამტუე როდისმე ფეხი არ შემოდგან ჩემს მამულში - ისიც კი არ მიამება, რომ ახლო აუარ-ჩაუარონ ჩემს მამულს. ენის ლაქლაქსაც თავი დაანებონ, თუ თავისთვის სიკეთე ჰსურთ, თორემ ხუმრობა არ მიყვარს.

— ჰო, კარგი, გაჯავრებული ხარ ჩემ უმფროს შვილებზედ. უმცროსმა ხომ არაფერი დაგიშვავ, რომ იმასაც თან ატან, იმისი ხომ ყოველთვის მადლიერი იყავ და აქებდი — ერთ დროს სიძეთაც კი გინდოდა გაგებანდა.

— ხა, ხა, ხა!.. სიძეთ გამეხანდა!.. მე პარუნ გეურქ სიმონი ახატიანს სიძეთ გამეხანდა ვილაც ჰქვა გაზხვრეტილი ქართველისი ხა, ხა, ხა!.. და შენც გჯეროდა ეს გულუბრყვილოთ? მე ის შენი უმცროსი შვილი მამწონდა იმდენად, რამდენადაც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობდა და მოქმედებდა. ეხლა კი ის ჩემთვის საჭირო აღარ არის. ერიჰაა!.. სად წავა, თუ რამდენი კაცი მე ჩემს ნებაზედ ვათამაშო ჩემი სარგებლობის გულისათვის, ყველა სიძეთ გავიხანდა! მაშინ პარუნ გეურქ სიმონი ახატიანცი აღარ უნდა ვიყო!.. კაცი თავის თავის ღირსებას არ აფასებს; არ ესმის თავის სარგებლობა; ვერ ჰხედანს ვინ მტერია და ვინ მოკეთე და ასეთი კაცი სიძეთ გაიხანდა. რა ჰქუას მასწავლიან! არა, ჩემო პატიოსანო გიორგი, ისევ ის დარიგება მოიგონე, რომელსაც მე მაძლევდი ოდესღაც და მოიხმარე ახლანდელ შენს მდგომარეობაში, თორემ სხვა სახსარი და წამალი შენ არა გაქვს.

— მეტი რა გაეწყობა!.. მაგრამ სოფელი ისევ ცვალებადია. დღეს ერთია მალა, ხვალ სხვა.

— ჰო, ეგე ეგ მოგიხდა! მაგას რა სჯობია, რომ გულდამშვიდებით ელოდო, როდის მოვა ის დრო, როცა შენ ისევ მალა მოექცევი ცხოვრების ჩარხის ტრიალს. რა საჭიროა ახლა ტყუილად ლაპარაკი და გულის ხეთქა. გულსწრაფობით მალე დაჰბერდები. მხოლოდ მოლოდინი და კიდევ მოლოდინი იქნება შენი მხსნელი გაჭირებულ მდგომარეობიდან, აი ჩემი მოკეთური დარიგება. კიდევ ერთი შენი სასარგებლო ჩემი დარიგება: შენი შვილები გააფრთხილე. ნუ იქცევიან თავხედურად, ნუ ყბედობენ გზათა უკან ჩემსა და ჩემ შვილებზედ. როგორ შეიძლება ისეთი ლაპარაკი, როგორც ისინი ჩვეზედ ლაპარაკობენ. ადვილად შესაძლებელია მათ ლაპარაკს ჩვენში განხეთხილება მოჰყვეს. და ხომ იცი რომ შენა ჰსაჭიროებ ჩემს თავს, ჩემს დახმარებას და არა მე შენსას. მე, რასაკვირველია, იმათი არ მეშინიან და იმათ მუქარას ჩალათაც არ ჩავადებ. მხოლოდ ჩემზედ და ჩემ შვილებზედ მათი უსირკვილო ლაპარაკი არ მიამება და ერთხელაც არის მოთმინებიდან გამოვალ, და რაც ამას შედეგი მოჰყვეს, სხვას ნულა დააბრალებენ.

— ნუ თუ ძალაცა და სამართალიც შენ ხელშია, რომ ასე იმუქრები!

— საცა ფულია, ძალაც იქ არის, გავლენაცა და სამართალიც! როცა ჯიბე ფულით გატყენილი მაქვს, ცილამ მთვარესა და ვარსკვლავებსაც ჩამოვალავებ! არ იფიქრო რომ ამისი თქმისა ან მეშინოდეს ან მრცხვენოდეს.

მელანია.

1913 წ.

გერმანია და ინგლისი

მკითხველს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება, რომ გერმანიამ ინგლისს მუქარის მუშტი მოუღერა და მთელი ჩრდილოეთის ზღვა და ირლანდიისა და ბრიტანიის გარშემო შემორტყმული ზღვები საომარ ასპარეზად გამოაცხადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გერმანია ყოველ გემს დაჰლუბავს, რომელიც

კი გამოჩნდება ზღვაში. ინგლისის იქმნება ეს თუ ნეიტრალურ სახელმწიფოსი, სულ ერთია. და ეს მუქარა მართო მუქარა რომ არ ყოფილა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გერმანია ფაქტურად შეუღება მის განხორციელებას, ბევრი გემი დაჰლუბა და დაჰლუბავს კიდევ. ამ გარემოებამ შეაფრთხო არა მართო პატარა ნეიტრალური სახელმწიფონი; არამედ ისეთი ძლიერნიც კი, როგორც არის შეერთებული შტატები და იტალია. რას ნიშნავს ეს? რატომ მიჰმართა გერმანიამ ამ უკიდურეს საშუალებას? მით უმეტეს, რომ საშუალება იგი ორპირ მახვილსავითა სჭრის და როგორც საზარალოა მის მეტოქეებისთვის, არა ნაკლებ საზარალოა პირადად მისთვისაც, ჯერ ერთი რომ ამით სრულიად მოწყვეტილი ხდება იგი და ზედმეტად ახალ მტრებს გადიკიდებს.

მაგრამ, მოგვხსენებათ, უკიდურესი მდგომარეობა ყოველისთვის გაკადრებინებს. გერმანია ერთგვარ რისკს დაეყრდნო. თუ რატომ მიჰმართა ამ გზას, ამას მკითხველი დაინახავს ამ ნომერშივე დაბეჭდილ „გერმანიის მემორანდუმი“ დან, სადაც ნათლად აღნიშნულია, რომ გერმანიელ ხალხს შიშით სიკვდილი ელის და ვიდრე ეს მას ეწვეოდეს, ვეცდები თქვენი მშვიდობიანი მცხოვრებნი ჩემს ხალხზე აღრე მაგვარივე საშუალებით დავსაზარალო. მართლაც, ვინ დაარღვია პირველად ომის უფლებები? ინგლისმა თუ გერმანიამ? მაგრამ პასუხი თვით ფაქტებითვე განვიხილოთ.

ჯერ კიდევ ქრისტიანობისთვის დამლევი შეერთებულ შტატების ბეჯით მოთხოვნისთვის შემდეგ იძულებით დასთანხმდა ინგლისი, რომ ის სურსათი, რომელიც ხალხის საკვებად იქმნება დანიშნული და არა ომისთვისა, გაშვებული იქმნება გერმანიაში. ამერიკელებმა ამის შემდეგ ხორბლით დასტირთეს ხომალდი „ვილჰელმანა“ გერმანიაში გასაგზავნად. ეს იყო ერთგვარი ცდა, რომ ინგლისელების პასუხი ფაქტურად გაემტკიცებინათ. ვინცობაა, თუ ხომალდი მშვიდობიანად მიადგევდა გერმანიის ნავთსადგურებს, მაშინ წესიერ მიმოსვლას აღადგენდნენ და „პირობით კონტრაბანდის“ სახით გერმანიას მიაშველებდნენ ხორბალს. მაგრამ, სიტყვა სხვაა და საქმე სხვაა, ნათქვამია და ამ „საქმიანობის“ სინამდვილემაც სწრაფად იჩინა თავი. „ვილჰელმანა“ ინგლისის ელჩმა გზაშივე შეაჩერა, სურსათს ინგლი-

სი წაიღებს, ენლა ფულს გადაიხდის, მაგრამ თუ შემდეგ თქვენს მაგალითს მიჰბაძევენ სხვები, მაშინ კონფისკაციას მოვახდენთო ამგვარმა ფრონტის შეცვლამ საშინელ მდგომარეობაში ჩაადგო გერმანია. მით უმეტეს, რომ პური, თუ დაეუჯერებთ თურნალ გაზეთებს, სულ ერთიანად შეისყიდა მთავრობამ ჯარისთვის. მაშასადამე, ხალხს შიშითი ელის. განზრახვა, რომ წესიერი ვაჭრობა არ შესწყდებოდა ამერიკასა და გერმანიის შუა, როგორც დავინახეთ, კატასტროფით გადავიდა. გერმანიის საყვედურზე ინგლისმა მკვებედ უპასუხა, რომ შენც არღვევ საერთაშორისო უფლებასაო. ამგვარმა პასუხმა გააანჩხლა გერმანია და წყალქვეშა ნაგებობით აღუაშვემორტყმულად გამოაცხადა მთელი ინგლისი. მართალია, ინგლისმა, დეკემბრის შეთანხმების თანახმად, ამერიკელთ არ დაუშალა ბამბის შეტანა, მაგრამ გერმანიელთ პური უფრო ექირვებოდათ, ვიდრე ბამბა. ინგლისის ხალხი კი დამდგარა და განგაშსა სცემს პრესის საშუალებით თუ საჯარო კრებებით, რომ ესეც დაუშალონ ამერიკელებს და ყოველგვარი კავშირი შეაწყვეტინონ გერმანია-სთან. ვაშინგტონის მთავრობამ თავის მხრით სათანადო პროტესტი განუცხადა ინგლისს. რუსული პრესა მხარს უჭერს ამ უკანასკნელს. თვით ისეთი ობიექტიურ მიმართულების გაზეთი, როგორც „რუსკი ვედემოტი“, ა. ფედოტოვის სახით გადმომდგარა და ამერიკელთ ასეთი შენიშვნით უპასუხებს: „ვაშინგტონის მთავრობის პროტესტზე შეგვიძლიან მიუთითოთ, რომ თვითონ ისიც (ვაშინგტონის მთავრობა) ზანგთა განთავისუფლების დროს შეერთებულ შტატებში არასფერს არ უშვებდაო“. მაგრამ ასეთი მითითება და ისტორიულ ფაქტის სადღისო არგუმენტად წამოყენება ყოველთვის როდი შეიძლება. ეს უფრო შაბლონი ფრაზებია და არა პასუხი. მაშათა ცოდვა სასჯელად არ ედებათ შეიღებს. მით უმეტეს ინგლისის ჯენტლმენობა და თავაზიანობა ომამდე ყველას სჯეროდა და თუ მართლა ა. ფედოტოვის არგუმენტის თანახმად იქცევა და მხოლოდ ამიტომ მოისურვა ომის უფლების დარღვევა, მაშინ უნდა დაეჯეროთ, რომ ამ ომმა, მართლაც, რადიკალურად შესცვალა ყოველგვარი ღირებულება და მთელი ევროპის თვალთმაქცი პოლიტიკა სრულს ანარქიულ სიკოტრისკენ გააქანა. ინგლისი და გერმანია ამ საშინელ უფსკრულის პირს წაადგნენ და აღლაპმა უწყის, რომელი ვადიჩნება

პირველად. ან შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ერთიც დაილუპოს და მეორეც დაჰლუპოს ერთად...

დიოკენი.



გერმანიის მემორანდუმი

„რუს. ველ.“ გამოქვეყნებულია გერმანიის მემორანდუმი, მოგვეყავს სიტყვით სიტყვამდე:

„ომის დაწყებიდანვე გერმანიას ინგლისმა გამოუცხადა ომი ეკონომიურს ნიადაგზე, რაც საერთაშორისო უფლებების პრინციპებს არღვევს. ინგლისის მთავრობამ ლონდონის დეკლარაციაში თვითვე აღნიშნა მთელი რიგი წესებისა საზღვაო ომის შესახებ, მაგრამ თვითონვე დაარღვია და უარპყო დეკლარაციის არსებითი დადგენილებანი, რაც ყველა ერებისაგან საერთაშორისო უფლებად იყო აღიარებული. ინგლისელებმა კონტრბანდის სიაში შეიტანეს ბევრი ისეთი რამ, რაც ომის მოთხოვნილებებისთვის არ იყო საჭირო, როგორც ამას მოითხოვდა ლონდონის დეკლარაცია. შემდეგ, ინგლისმა ფაქტიურად მოსპო აბსოლუტური და პირობითი კონტრბანდა. არც იმ გარემოებისთვის მიუქცევია ყურადღება, თუ რისთვის იყო დანიშნული ეს კონტრბანდა, მშვიდობიან ხალხისთვის, თუ ომის გასაძლიერებლად, ან საღ მიჰქონდათ გადასატვირთად, რომელ ნავთსადგურზე იგი ოდნავად არ შეყოყმანებულა თვით პარიზის დეკლარაციის დარღვევის დროს. მისი საზღვაო ძალები იჭერდნენ ნეიტრალურ ხომალდებზე დატვირთულ არა კონტრბანდას, არამედ გერმანელთა საკუთრებას. თავის მიერ დადგენილებანი თვითონვე დაარღვია კიდევ იმით, რომ ნეიტრალურ გემებზე დაატყვევა გერმანიის ქვეშევრდომნი და სამხედრო ტყვეებად გამოაცხადა. დაბოლოს, მთელი ჩრდილოეთის ზღვა საომარ ასპარეზად გამოაცხადა. თუ ხელი ვერ შეეშალა ნეიტრალურ გემთა შემოსვლას შოტლანდიისა და ნორვეგიის შორის, სამაგიეროდ იმდენად სასიფათო გაჰხადა მათი მოგზაურობა, რომ ნეიტრალური ნავთსადგურები და ნაპირები ალყაშემორტყმულად

უნდა ჩაითვალოს, რაც, ერთხელ კიდევ, ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას.

ყველა ამ ზომებს ფრიად ნათელი მიზანი ჰქონდათ: უკანონოდ დასცეს კანონიერი მოქმედება და ამით დაასუსტოს და გაანადგუროს არა მარტო გერმანიის სამხედრო ძლიერება, არამედ მისი ეკონომიური ცხოვრებაც და საბოლოოდ გერმანიის მშვიდობიანი მცხოვრებნი შემშლილთ მოსრას. ნეიტრალური სახელმწიფონი საზოგადოდ ინგლისის ამგვარ ზომებს შეურიგდნენ. მათ ვერ შოახერხეს კერძოდ გერმანელთა ქვეშევრდომთა განთავისუფლება, ანუ საკუთრების დაბრუნება. ზოგიერთ შემთხვევაში თვითვე ეხმარებოდნენ ინგლისელებს. სპობდნენ თავისუფალ ვაჭრობას, ან და ინგლისის ძალდატანებით სძირავდნენ ან ატყვევებდნენ გერმანიის მშვიდობიან მცხოვრებთათვის დანიშნულს სურსათს. გერმანიის მთავრობა ამოდ მოუწოდებდა ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რომ საჭირო იყო ხელშეკრულობათა ახალი გადასინჯვა, რომ ინგლისის თავნება მოქმედება აელაგმათ, მაგრამ ამოდ. ინგლისი თავს იმით მართლულობს, რომ მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხი ამითი სწყდებაო და ნეიტრალური სახელმწიფონიც ამგვარ თეორეტიულ პასუხით კნაყოფილდებიან.

დღეს გერმანიამაც უნდა ასეთ „ყოფნაზე“ იხრუნოს. სამწუხაროდ, იგი იძულებული ხდება ინგლისის მოქმედებას სამხედრო საშუალებით შეებრძოლოს და როგორც ინგლისმა შოტლანდიისა და ნორვეგიის შუა სივრცე სამხედრო მოქმედების ასპარეზად გამოაცხადა, ისე გერმანია სამხედრო მოქმედების ასპარეზად აცხადებს მთელს წყლის სივრცეს, რაც კი დიდს ბრიტანიის და ირლანდიას არტყია...“

წერტილი გორიდან

ჩვეულებრივის სიღინჯით და ბებრის მყუდროებით მიდის გორელთა ცხოვრება. ოითქოს ქერქს ვიცვლით, განახლებას ვეძლევით, ვეგროპიელდებით, მაგრამ შინაარსი ჩვენი ისევ ძველია, დარდი-

მანდული, უკედ, გორული! მართლაც, ვისაც ჰსურს რომელიმე ქალაქის უმოქმედობა და მიძინარე სახე დაახასიათოს, ტერმინად „გორელი“ უნდა იხმაროს, „გორულს“ ძილს შეუპყვრიათო! თუ ეს ასე არა, განა გორში, როგორც შუა ქართლის საგულე კარში, განა ასეთი მდგომარეობა იქმნებოდა? უსიკოცხლო ცხოვრების ტალღებში გახვეულს თავისებურ პრაგმატიკალობის ელფერი დაედო, ეს ქალაქი კი არა, უფრო დიდი სოფელია, სოფელი ყოველად უინტერესო, გარეშეს მოწყვეტილი და თავის დიად ღირსების შეუგნებელი.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ გორი სულ დაღუპული ქალაქი იყოს. არა, ძილი და უწყინარობა განა სრული დაღუპვაა? ასე რომ იყოს, მაშინ ხომ მთელი საქართველოც გაქრებოდა. არა, გორს თავის დადებითი მხარეებიცა აქვს და მრავალთა შორის ჯერ ადგილმდებარეობა გახლავთ, რომლის უპრეტენზიო მომავალში ვხედავთ გაჩაღებულ ვაჭრობა-მრეწველობას, რომელიც ტონს მისცემს მთელს მხარეს, გამოფხიზლდება და გააფხიზლებს ჩვენს ქართლის მცხოვრებთ. ბუნებრივი სიმდიდრე ხომ ხელით აუწერელია. აიღეთ, მაგალითად, გორიჯვარი, რომელიც დარაჯად გადმოჰყურებს ჩვენს ქალაქს! აქ დიად ბუნების ჯადოსნური ძალა გამოუჩენია. გორი ხელის გულივით მოსჩანს, სილუეტად ჰადარა კავკასიონის გრებილი... ჰაერი საუცხოვო! თვალს ჰხიბლავს სანახაობა.. მტკვარი და მჩქეფრი ლიახვი ერთ-ერთს გადაჰხვევიან, როგორც გიჟმაფი ვაჟიშვილი დარბაზსელ დედას. აი, საკურორტო ადგილი! აი, ჩვენი ნიცა რა იქმნება! უნებურად წამოიძახებთ! დაუმატეთ ისიც, რომ ამ მხატვრულ კონცხზე საკმელის სურნელოვნებას ამკობს მინერალური წყაროებიც, რომელნიც თავიანთ პრიმიტიულ მდგომარეობის გამო ხავსმოდებულ გუბე-ტბად გარდაქმნილან, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმარისია კუტი თუ დაქარიანებული ამოიგუნგლოს მის ტალახში, რომ იგრძნოს შეება და განკურნება! და რომ გორის მომავალი ამ მხრით უზრუნველყოფილია, რომ გორს მალე ბევრი ჩვენი ქალაქთაგანი შურის თვლით დაუწყებს ცქერას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გორს პატრონები მოეფლინენ, ცოტაა მათი რიცხვი, მაგრამ მათი დაუღალავი შრომა, ღვაწლი 'იერიკონის საყვირით გაისმის. აი, სხვათა შორის ექიმი კობერიძე! რამდენი სიმხნვევე გამოიჩინა, როგორ დასტრიალებს ქალაქს! მართო ერთი თავის სპეციალობით გარდაქმნის გორის მიტბორებულ ცხოვრებას. ხსნის საავადმყოფოს,

ყოველ საქმეში ერევა. ამასთანავე აგერ ამ ბოლო ეამს თვალი მიაპყრო ზემოდ ხსენებულ გორიჯვარის ფერდობს და მკურნავ წყაროებს: ის არის გორის მომავალი თითქოს სიქვა და მხედ შეუდგა, რომ იქ, ოდესღაც გამართული ქობახები, უსუფთაო და გაუნათებელი ოთახები შესცვალოს რიგიანად, წყალი სანიმუშოდ ბოთლებით ლაბორატორიებში დაპგზავნა ავკარგიანობის შესამოწმებლად და მალე გეოლოგებსაც მოიწვევს, რომ წყაროები გააფართოვებინოს და მოაწყოს ისე, როგორც ამას მოითხოვს საკიროება. არა, მართალია, გორის ცხოვრება მიდის ტბორი, შედეგებული სახით, მაგრამ მერცხლები გამოჩნდნენ... გორიც იმეუნება... ერკვევა. გამოფხიზლდება და მისი აყვავებული მომავალიც უზრუნველყოფილია!

გორელი.

დარდანელის საკითხი

როგორც მკითხველებმა უწყის, მოკავშირეთა ფედრტმა ინგლისის შეთაურობით იერაში მაიტანა დარდანელზე. გვარწმუნებენ, რომ რამდენიმე ფორტი კიდევ ადებულა. ამის შესახებ ჯერ აშუარციები არ დამთავრებულა, რომ დარდანელის ხელში ჩაგდებას სურვალმა უკვლას მდა გაუღვიძა. რუსეთის დახლომტამ საზონოვის შეთაურობით და ლიბურაღურმა ჰრესამ ის ზერი გამოსთქვა, რომ „თავისუფალი ზღვა სტამბოლითურთ ეს არსებითი საკითხია რუსეთის ინტერესებისთვისა“. რუმინაიმა და ბელგარაიმა თავის მხრით წამოჰყვეს თავი და დაბეჯათებით ითხრევენ წინანდებურად ზღვის ნეიტრალიტას. მაგრამ ზოლიტაგურ სიფეროში ვინ მაქცევეს მათ ურადებას? მაგრამ საქმე ის არის, რომ ბოლას ხმა გვრცელდა, ამგვარ შეკრებების წინანდმეგვა თვით ინგლისია! და ეს უფრო მას შემდეგ ცხდა შეიქმნა, რაც ლორდ გრემი სწორი ჰასუსი არ მისცა საზონოკის შეკითხვას. საქმე ესლა საფრანგეთსა და იტალიას ესება, შესაძლებლად სცნობენ ეს სახელმწიფონი დაუთმონ რუსეთს დარდანელა თუ არა! ამის შესახებ ბუერს რამეს ამბობენ რუსეთის მდალად წრეებში თუ ზრესში, თავისებურს და ხშირად სასურველ ჰასუსს იძლევიან. არავინ იცის, რით გათავდება უკვლას ეს, ოდონდ აქ თავს იჩენს ჩუქნი დარბაისღური ანაზა, რომელიც სამართლიანად ამბობს: მდა ჭამის დრას მოდასო.

—ძე

სხვა და სხვა ამბები

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „წინაპართა აჩრდილი“, ორი ისტორიული ამბავი ნიკო ლომთურისა, გამოცემა ი. კერესელიძისა. წიგნი სუფთადაა დაბეჭდილი და ღირს ორი შაური.

— **საზღვაო ალყის შედეგი.** რაც გერანიამ ბრიტანიას საზღვაო ალყა შემოართყა ათი დღის განმავლობაში დაჰლუბა ინგლისის ათი გემი, საფრანგეთისა ორი, შეერთებული შტატებისა ორი, ნორვეგიისა სამი, და შვეციისა ერთი.

— **გერმანელები შვეციისგან თოფებს ყიდულობენ.** გერმანელები ამ ბოლო დროს შვეციელებისაგან ახალ სისტემის თოფებს ყიდულობენ. ამბობენ, ეს იმის შიშია, რომ რუსეთმა არ შეიძინოს ამ სისტემის თოფი.

— **კრეისერი კარლსრუე.** ამას წინად ლონდონიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანელთა კრეისერმა კარლსრუემ ატლანტის ოკეანეში დაჰლუბა ინგლისის რამდენიმე გემი. საზოგადოდ ამავე ოკეანეში ეს კრეისერი განაგრძობს პარტიზანულ ომს და ინგლისის ფლოტის მოსასპობლად დათარეშობს. მაშასადამე, წინად გაგრეკლებული ხმა, ვითომც ამ მარჯვე კრეისერმა გაარღვია ინგლისის ფლოტის ალყა და ნემცთა ზღვაში დაბრუნება მოახერხაო, ტყუილი გამოდგა. სჩანს, აქ კარლსრუეს კაპიტანი იმავე გამპრიახობას იჩენს, როგორც თავის დროზე სახელოვანი პარტიზანი კრეისერ ემდენის კაპიტანი მიულერი და განგებ შეცდომაში შეუყვანია თავისი მეტოქენი.

ამ სუმბუქი კრეისერის ისტორია ასეთია: ომის დაწყებამდე იგი ჩაუშვეს ატლანტის ოკეანეში. პირველად ინგლისის გემს „ბრისტოლს“ შეხვდა ბრაზილიის ნაპირებთან, მოუხდა შეტაკება, თუმცა არც ერთს მათგანს არა რგებია გამარჯვება. კარლსრუე სწრაფ-მავალი კრეისერია და რა გასაკვირველია, თუ ჩამოშორდა და დროზე მიემალა „ბრისტოლს“. შემდეგ ესპანიის ნაპირებთან გაჩნდა, საზღვაო ტელეგრაფის მათულები გასკრა, რომელიც ინგლისის ბილბაოსთან აერთებდა. ამის შემდეგ შეეჯახა ინგლისელების გემებს კუნძულ კუბას მახლობლად და მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ უვნებლად გაიქცა. ერთი თვის დამოღვეს ინგლისის გემები თვის დაესხნენ, მაგრამ მინც ვადარჩა. ბოლოს

მის შესახებ არა ერთხელ ისმოდა ხმა, ირწმუნებოდნენ მის დალუბავს, ნამდვილად კი თვითონ იგი ჰლუბავდა სხვა და სხვა გემებს, ხშირად სამ-სამ კრეისერს ერთად. უმეტეს შემთხვევაში დაჰლუბა ინგლისელების გემები, რიცხვით რამდენიმე ათეული. კარლსრუე ახალი ტიპის კრეისერია. მისი აგება დამთავრდა 1912 წ. მისი წყალთა რწყეა უდრის 4,900 ტონას, ხოლო სისწრაფე—27,3 კვანძს, შეიარაღებული 12 ოთხ დიუმინიან და 40 კალიბრან სიგრძის ზარბაზნებით, ორი ტყვიის მფრქვეველით. ეკიპაჟი შესდგება 40 კაცისაგან და ოდნავ განსხვავდება „ემდენის“ კონსტრუქციისგან.

ჩვენი ცხოვრება

(იხ. „კლდე“ № 4 და 5.)

III

ჩემი ეჭვი არც ისეთი უსაფუძვლოა და აი რად: რადგან ღვინის ფაქრობა აკრძალეს ესლას ამ სკრთო სისხლის ღვრის დროს, თავს იმითი გამართლებენ ჩვენი ბრწინვალე ფაქრები, რომ ფაქრობა ადარ იყო, სარჯი კი თავისას არ იშლიდა, იხარადა და გულ-უხვი თავად აზნაურობა რეგორც ეოკელთვის, ახლაც მოვალეა ახატოის, აჩუქოს მივაღებუდი ფული?

დმერთმა ქნას, ჩვენი ეჭვი და შიში ტუელი? გამდგეს და კახელ შეეგნახეთა „კახეთ“-ის საზოგადოების საქმე საფუძვლიანს ხიდაგზე დამდგარიყოს; მაგრამ ჩვენ ეჭვებსაც შემდეგი საფუძვლები აქვს: შირველი ის, რომ „კახეთი“-ს სავაჭროს სათავეში უდგას ეოკელთვის ფაქრობა-მრეწველობაში გამოუცდელი ხაღხი ერთის მხრით და კოპერაციულ კანონთა უცოდინარი მეთრეს მხრით, ეს კი იმას ჰგავს, რომ ხელში აღმასივით მჭრელი ხმალი გეჭირათ უტარო და ვერ კი მოიქნით მტრის მოსაგერებლად! ადგილი შესაძლებელია, ძლიერ გამოცდილი, მოხერხებული, ხელმომჭირნო, მრავალის დირსებით სავსე ადამნი იუვეს, მაგრამ იმავე დროს კომერსანტობისა არა ესმოდექ რა. ნათქვამია და მართალიც კახლავთ, რომ ადგილას კურდდექს ადგილის მწვეარი უნდა!

ვინ არ იცის, რომ ნამდვილი კახური ღვინო გემოთი, ფერთი, სურნელფანობით, თვისებით და დირსებით ბევრად გახიჩხვეს სხვა მხრისა და ქვეყნის ღვინოსაგან და გზის ამტანიც არის. მაშასადამე, ყველგან და ეოკელთვის „კახეთ“ ის საზოგადოების ღვინო ერთხინი



უნდა იყოს, ერთხელეუ მკვადრად შემუშავებული მტლენე სწავლასტრებისაგან წმინდა, შეურველი კახური დირსუბის ღვინო. მაგრამ სავალადოდ ოცი წლის არსებობაში ვერა და ვერ მოახერხა მის დაუქნება. დღეს რომ მიერთშეუთ „კახეთ“-ის ღვინოს ჩინებულა, ხვალ კი ჯახველის წვენი სწავლობან. გარდა ამისა, თბილისში მიერთშეუთ ერთიას; ბაქოში შერთე, ასხაბადში — მუხამე, ტაშკენტში — შეთანე ასე და ამგვარად. საზოგადოების ღვინო უთველთვის ერთს დონეზე არა სდვას. რამისაგ ბრალი უმთავრესად იმას, აქვს, რომ ადმინისტრაციული წესები ისე არ არის შემუშავებული, რომ სხვა და სხვა ქალაქებში სწავლობის გამგენი გადაჭრით ექვემდებარებოდნენ გამგეობისაგან გარეშულ განკარგულებათ. ხშირად ისიც ხდება ხოლმე, რომ № 1. სწავლობის მეთონს, მესამეს და მეორე კიდევ მეთონს, შექვესეს ერთად ერთი დარგი სავაჭრო აქვს ჩვეს ბრწინვალე ვაჭრებს და ისიც არა აქვს აწონილ-დაწონილი, გამოსანგარიშებული, შემუშავებული. წესდებობაში უწერათ, რომ მომხმარებლებს უნდა მიაწოდონ ნამდვილი, უმწიველო კახური ღვინო თავის წვერებისა, მაგრამ საქმის მოწოდობის გამო, ხანდახან ამ გზისაგ სცდებიან. აქვე უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ მაგ. ბაქოში როდესაც იტყვენებოდა რიგინი ღვინო და მედმივე ვაჭრობაში აწია თითქმის 1000 ვ. თვეში და რომ ცენტრებულად იყო ასე, ადვილად შესძლებული იქნებოდა ვაჭრობის ტავართოვება, 1500—2000 მაგრამ რკი ვერა გზავნეს მუდამ ერთხინრი ღვინო, ამასთან ორ კვირობით და თვეობით უღვინოდ იყო ხოლმე განყოფილება, ვაჭრობაში დაიწია 600—700 ვედრომდე. გარდა ამისა სად გავინდა. რომ ვაჭარი თავის თავს ექიმეობდეს, მეტოქეობას უწველეს?! წარმოიდგინეთ, ერთ ხანს ბაქოს რკინის გზის მალახა ჰეიდდა „კახეთ“-ის ღვინოს № 1—20—22 კ. და თვით განყოფილებას კი 25 კან. ნაკლებ არ შეეძლო გაუდღას! ეს და სხვა მრავალი მიზეზია რომ მაგ., ბაქოში ვაჭრობა მომტებინი დღემდისაც არ არის.

საზოგადოთი განყოფილებანი საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ყველა დიდ თვალსაჩინო ქალაქებში, კანტონები ქართულ-ევროპიულად, სუთთად და ღახათიანად შორთული მოწოდობილი ტუხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად, მაგრამ მიბძნდით გადავლეთ თვალი და დაინახეთ, რომ ზოგიერთ მათს სარდაფებს უბრალი დუქანი სწავლობან და არც თუ კანტონები აქვთ თვალსაჩინოდ!.. მეთხე უბედურება ის გახლავთ, რომ ამ ოცის წლის განმავლობაში ის ვერ მოახერხეს ერთხელ და სამუდამოდ შეიმუშონ საანგარიშო (საბუხვალტრო) დეთრები და ისე აწარმოვონ საქმე. წელიწადში ორჯულ თუ არა, ერთხელ მაინც უკველად იცვლებოდა საანგარიშო წიგნები, შერე

იცი თუ უკლებათ ეს წიგნები?! აბა მიბძნდით და გადავლეთ მათ ანგარიშებს თვალი და ნახეთ, თუ მარტო ამ წიგნებში რა უარებელი ფული იხარჯება! მაგრამ ქართული ანდაზა — ვისი ტყე, ვისი ხარები, ვისი რასა მურგელაო, სწორედ აქ ითქმის თამამად. რამდინი ბუხვალტრიც მივიდა „კახეთის“ საზოგადოებაში, იმდენი წესი შემოიღო და გამგეობაც ამ სავანში არის მტლენე, ემორჩილება ყველა ბუხვალტრს.

განყოფილებათა გამგენი უნდა შეგნებულ-განვითარებულნი იყვნენ, მტლენი, როგორც ღვინის აგ-კარგინობისა, ისე ვაჭრობისა, ამასთან საქმის მოკარულნი და არა არისტოკრატ-მთხელენი ჯამგირების მოტრფივლენი. გამე გარდა ზემოდ ჩამთვლილის დირსებისა უნდა იყოს შეამავალი მოგზაურ-გამავრცელებელი თავის საქონლისა! გამე, რომელსაც უთავილება და არა კადრულობს მისვლას დაბალ სასადალოებაში, სასტუმროებში, სარდაფებში, რესტორან-დუქნებში, მალახიებში, სარდაფტრახტორებში საქმეს ვერ გააკეთებს და ვერც ვერას გაავრცელებს, რადგან ღვინო იხარჯება მომეტებულად ზემოდ ჩამთვლილი ადგილებში და არა ზირველ ხარისხთან სასადალო-სასტუმროებში! ზარკეში დაიარება მუშა მშრომელი ხელთახანი, დარდი მანდი, მოქიფე ხალხი, რომელიც ღვინის მთავარი მომხმარებელი არის.

უარებულს ჯამგირებს იღებენ გამგენი თვიურად და კიდევ მოითხოვენ მოგვერით ნება ფული დავხარჯოთ ღვინის გასავრცელებლად შუამავალ-გოთხორებზეო. და ჩვენი ბრწინვალე „კახეთის“ ს გამგენი გულუხვობენ და აძლევენ ნებას. გარდა გავისა, კანტონის მოსამსახურენი კერულ წოდებულე „კონტორშიკი“-ც უსათუოდ უნდა იყოს არა ნაკლებ გამგისა, რადგან ეს უკანასკნელი მუდამ კანტონისა და მუშტართან ამის უფრო აქვს საქმე, ვადრე გამგეს. გამე უნდა მუშაობდეს გარედ და ამისი ხელქვეითი კანტონაში. ნამდვილად კი „კახეთის“ საზოგადოებას არავითარი გარვეული წესი არა აქვს შემუშავებული განყოფილებათავის.

რ. ფავლენიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.